



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

27 აპრილი 2023 წელი

N 21/36

ეგზ.: N 1

თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	34
	საკონტაქტო ინფორმაცია	39

ტერმინები და შემოკლებები

-) ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
-) მერია – თელავის მუნიციპალიტეტის მერია.
-) მუნიციპალიტეტი – თელავის მუნიციპალიტეტი.
-) საკრებულო – თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
-) შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 32%¹ და 37%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1,576.3 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოუყენებელი ინფრასტრუქტურული ობიექტები

მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი პროექტები, რომლებიც დაუსრულებელია და ვერ იყენებს. შესაბამისად, ბიუჯეტიდან გაწეულია 1,632.0 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და დასახული მიზანი არ არის მიღწეული.

მუნიციპალიტეტმა ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციაში დახარჯა 40.9 ათასი ლარი ისე, რომ სრულად არ გაითვალისწინა ექსპერტების დასკვნა გამაგრებით სამუშაოების აუცილებლობის შესახებ. ექსპერტიზის განმეორებითი დასკვნით, ბაღები კვლავ ავარიულია და ექვემდებარება დემონტაჟს.

მუნიციპალიტეტმა 10.0 ათასი ლარი დახარჯა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის რემონტზე. ობიექტი მალევე გასხვისდა და მოსახლეობა ვერ იყენებს.

სამუშაოების მიწოდების ვადის დაუსაბუთებელი ზრდა

მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადები, რამაც ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანებით დასრულებას. ამასთანავე, აღნიშნული ქმედებების შედეგად მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო, დაახლოებით, 55.2 ათასი ლარის საჯარიმო თანხა.

ხარვეზებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე, ამასთანავე, აუარესებდა მერიის პირობებს. მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას

¹ არაა ათვისებული 6,311.5 ათასი ლარი.

² არაა ათვისებული 6,221.6 ათასი ლარი.

³ 2020 წელს - 3,192.8 ათასი ლარი, 2021 წელს - 5,962.8 ათასი ლარი.

ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობის ნაწილს წყალი მიეწოდება შეფერხებით; წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; არალიცენზირებული პირი ვერ უზრუნველყოფს წყლის გადასახადის ადმინისტრირებას, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

შესყიდვების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ მიუღებელი საგარანტიო თანხები

მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ განსაზღვრა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადები და გარანტორისაგან არ მოითხოვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო თანხების ანაზღაურება. შედეგად, ორი შესყიდვის ფარგლებში, შეუსრულებელი ხელშეკრულებების სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 190.2 ათასი ლარის კომპენსაცია.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

ავტოპარკის მართვის ხარჯები

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 3-4 ერთეულით აღემატება საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას.

საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 138.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ქონების მართვა და განკარგვა

მიუღებელი საიჯარო შემოსავლები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში არ გადასინჯა წინა წლებში იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ქირა; გარდა ამისა, ქონება იჯარით გასცა პირდაპირი განკარგვის გზით, სათანადო დასაბუთების გარეშე, რითაც დაკარგა მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა; კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი სხვადასხვა პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლობითი სარგებლობის შემთხვევები.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები

ა(ა)იპ-ების მართვის ხარჯები

დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება. სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარჯები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში 130.0 ათასი ლარით დააფინანსა მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი. მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია

ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგი და არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას განხორციელებული ღონისძიებებისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა თუ რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 40.0 ათასი ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება

მერიამ ვერ უზრუნველყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზის შექმნა და მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების ვადების ცვლილებას ობიექტური გარემოებების საფუძველზე. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც

წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის საკრებულოს დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. მიზანშეწონილია მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები სამორიგო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №8: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

რეკომენდაცია №9: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე, შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №10: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №11: მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თელავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

თელავის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴

1) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

⁴ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

- ქ) თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბერის №35 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ქ) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 29 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქ. თელავს.⁵ მუნიციპალიტეტის ფართობია 1095 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 54.0 ათას კაცს.⁶

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 8,404.3 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 31,872.8 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2,438.1 ათასი ლარი; განათლება – 11,736.2 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 7,789.6 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 5,172.3 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა 72,445.9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 67,413.3 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)⁹

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულების %	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	37,093.8	37,271.3	100.5	32,501.0	35,174.6	108.2	72,445.9
შემოსავლები	35,658.8	35,782.9	100.3	28,501.0	31,666.2	111.1	67,449.1
არაფინანსური აქტივების კლება	1,435.0	1,488.4	103.7	4,000.0	3,508.4	87.7	4,996.7
ფინანსური აქტივების კლება	0	0		0	0		0
ვალდებულებების ზრდა	0	0		0	0		0
გადასახდელები	44,625.9	35,269.4	79.0	41,794.3	32,143.9	76.9	67,413.3
ხარჯები	24,862.7	21,817.7	87.8	24,805.2	21,376.5	86.2	43,194.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	19,412.9	13,101.4	67.5	16,865.8	10,644.1	63.1	23,745.5
ვალდებულებების კლება	350.3	350.3	100.0	123.3	123.3	100	473.6
ნაშთის ცვლილება	-7,532.1	2,001.9		-9,293.3	3,030.7		

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების მუხლები, კერძოდ:

) მერიამ სათანადოდ ვერ დაგეგმა შემოსავლების მოსალოდნელი შესრულება და 2021 წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ 2,673.5 ათასი ლარი შეადგინა.¹⁰ შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა კონკრეტულ

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹ წყარო: თელავის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

¹⁰ ქონების გადასახადი - 1,466.8 ათასი ლარი; დღგ - 471.7 ათასი ლარი; პროცენტი - 224.6 ათასი ლარი; ჯარიმები, სანქციები, საურავები - 288.9 ათასი ლარი და სხვ.

საბიუჯეტო წლებში არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის ხარჯვა;

- ს) მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები; შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 8,079.9 ათასი ლარი. 2020 წლისათვის დაიგეგმა 7,532.1 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 2,001.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 10,081.8 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 3,192.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹¹ 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 9,293.3 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 3,030.7 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 13,112.5 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 5,962.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹²

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა, ასევე ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ფულადი ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის განკარგვაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები.

¹¹ წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

¹² წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 232 ხელშეკრულებით, ღირებულებით – 35,411.2 ათასი ლარი.¹³ მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მერიის ინსპექტირების ჯგუფი.¹⁴ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის¹⁵ მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹⁶ რის შედეგადაც გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 360.9 ათასი ლარი.¹⁷ ობიექტები და მოწყობილობები დაზიანებულია.¹⁸

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 12 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 1,215.4 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ინფორმაცია 2020-2021 წლებში შესყიდული და დაზიანებული პროექტების შესახებ ასახულია დანართში №1.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას, სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენა ინსპექტირების ჯგუფისა და საექსპერტო დაწესებულების ვალდებულებაა. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს პასუხისმგებელი სუბიექტების შესახებ არ უმჯელობა და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო ამოწურული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია

¹³ 10.0 ათასი ლარის და მეტი ღირებულების პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება.

¹⁴ მერის 2017 წლის 1 დეკემბრის №104 ბრძანება „ინსპექტირების ჯგუფის შესახებ“.

¹⁵ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში სამუშაოებს ამოწმებდა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (NAT190024497) და შპს „ჯეოექსპერტი“ (NAT200020790).

¹⁶ 2022 წლის 5 და 6 სექტემბერს.

¹⁷ CMR200102441, მიმწოდებელი შპს „ლენო“.

¹⁸ დაზიანებულია ონკანი, სახურავიდან ერთ ოთახში ჩამოსულია წყალი და დაზიანებულია კედელი, დაზიანებულია წყალჩამომცვანი მილი, ჩამოსული წყლით დაზიანებულია შენობის გარე კედლები, დაზიანებულია განათების ნათურები, ონკანები, არ მუშაობს წყლის გამათბობელი, არ მუშაობს ტრაპი, არ არის გატანილი სამშენებლო ნარჩენები.

დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება.¹⁹ შესაბამისად, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით აღმოფხვრა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი მექანიზმები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,576.3 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი სუბიექტები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეული არაეფექტიანი ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.²⁰ მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.²¹

ფაქტობრივი გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში დაგეგმა განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება. კერძოდ, ამ მიზნით შესყიდული 9 ობიექტი დაუსრულებელია და ინფრასტრუქტურული ობიექტები არ ფუნქციონირებს. აღნიშნული ობიექტების სახელშეკრულებო ღირებულება 4,642.2 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც შესრულებულია სულ 1,632.0 ათასი ლარის სამუშაოები. მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ფშაველაში კემპინგის²² შენობის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 300.0 ათასი ლარი.²³ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულა ნაკისრი

¹⁹ მუნიციპალიტეტმა 17 შემთხვევიდან მიმწოდებლებს ხარვეზების გამოსასწორებლად მიმართა მხოლოდ 2 შემთხვევაში. ხარვეზები გასწორებულია.

²⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.

²¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

²² ავტო, ველო და ქვეითი ტურისტების გასაჩერებელი ადგილი.

²³ NAT190006964.

ვალდებულებები. მუნიციპალიტეტს ჩაბარებული და ანაზღაურებული აქვს მხოლოდ 160.3 ათასი ლარის სამუშაო (53.4%). მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს 2020 წლის დეკემბერში შეუწყვიტა ხელშეკრულება და დააკისრა პირგასამტეხლო 114.5 ათასი ლარის ოდენობით.²⁴ მერიამ სამუშაოების დასასრულებლად ტენდერი გამოაცხადა მხოლოდ 2021 წლის 24 ივნისს, რომელიც არ შედგა.²⁵ შესყიდვის პროცედურები არ განახლებულა – აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის²⁶ სამუშაოები დაუსრულებული იყო და შენობა არ ფუნქციონირებდა.

მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია დანარჩენი 4 ხელშეკრულების²⁷ ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების დასასრულებლად.²⁸ ინფორმაცია 2020-2021 წლებში დაუსრულებელი პროექტების შესახებ ასახულია დანართში №2.

ფაქტობრივი გარემოება 2: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა სოფელ კისისხევის ბაგა-ბაღის შენობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა.²⁹ დასკვნის მიხედვით შენობა შეფასდა როგორც ავარიული. კერძოდ, დეტალური კვლევისა და სათანადო გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარების გარეშე შენობის შემდგომი ექსპლოატაცია დაუშვებლად ჩაითვა. დასკვნაში განხილულია რეკომენდაციები, რომლებიც უნდა შესრულებულიყო შენობის გამაგრებითი სამუშაოების პროცესში.

მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა ბაგა-ბაღების სარეაბილიტაციო და რეკონსტრუქციის სამუშაოები.³⁰ კერძოდ, მერიამ სოფელ კისისხევის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციისათვის დახარჯა 31.2 ათასი ლარი. 2020 წელს გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, შენობას კვლავ გაუჩნდა ბზარები, რის გამოც 2022 წლის ივნისში ჩატარდა განმეორებითი ექსპერტიზა³¹ შენობის მდგრადობის დასადგენად. ექსპერტიზის დასკვნით, 2019 წელს გაცემულ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები არ შესრულდა და გამაგრებითი ღონისძიებები ჩატარდა უხარისხოდ, ვინაიდან ვერ უზრუნველყო არსებული დეფორმაციების აღმოფხვრა.³² შესაბამისად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასდა როგორც ავარიული, საფრთხის შემცველი და გაიცა რეკომენდაცია დემონტაჟის შესახებ. ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ბაღის შენობა დაზიანებულია მნიშვნელოვნად.³³

ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა სოფელ ლაფანყურის ბაგა-ბაღის შენობაში. კერძოდ, 2020 წლის ექსპერტიზის დასკვნით,³⁴ შენობის დაზიანებული შუაკედლისი დაუყოვნებლივ საჭიროებდა გადაუდებელ გამაგრებით ღონისძიებებს. 2020 წელს მერიამ შეისყიდა შენობის მხოლოდ

²⁴ დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

²⁵ NAT210011483.

²⁶ 2022 წლის სექტემბერი.

²⁷ NAT210000429, CMR210102414, NAT190015897, NAT190011599.

²⁸ სამი ობიექტის დასასრულებლად გაფორმებულია ახალი ხელშეკრულებები და მიმდინარეობს ობიექტის დასრულების სამუშაოები (NAT210013804, NAT220013182, NAT220003732), ხოლო №7 საბავშვო ბაღის შენობას ასრულებს მიმწოდებელი იმავე ხელშეკრულების ფარგლებში.

²⁹ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დასკვნის ღირებულება - 1.5 ათასი ლარი.

³⁰ NAT200018926; 2020 წლის 31 დეკემბრის №1237/454 ხელშეკრულება.

³¹ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დასკვნის ღირებულება - 1.5 ათასი ლარი.

³² შენობას არ გაუკეთდა რკინაბეტონის სარტყელი.

³³ კედლებზე აღინიშნება სიდრმისეული ბზარები, იატაკი გახსნილია.

³⁴ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დასკვნის ღირებულება - 1.0 ათასი ლარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 9.7 ათასი ლარი³⁵ და შენობის გასამაგრებლად რაიმე სახის ღონისძიება არ გაატარა. 2022 წელს განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნის³⁶ მიხედვით შენობაზე გამაგრებითი ღონისძიებების ჩატარება არარენტაბელურია და რეკომენდებულია მისი დემონტაჟი.

მუნიციპალიტეტმა ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციაში დახარჯა 40.9 ათასი ლარი ისე, რომ სრულად არ გაითვალისწინა ექსპერტების დასკვნა სათანადო გამაგრებით სამუშაოების აუცილებლობის შესახებ. შედეგად, შენობები არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ და საჭიროებს დემონტაჟს.

ფაქტობრივი გარემოება 3: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა, შეისყიდა სოფელ ჯუღაანში ყოფილი სკოლის შენობის სახურავის³⁷ რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 10.0 ათასი ლარი.³⁸ შენობა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. აღნიშნულის შესახებ მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო გადახურვის სამუშაოების დაგეგმვამდე. ქონება საპრივატიზებოდ სახელმწიფო უწყებამ ელექტრონულ აუქციონზე გამოიტანა ჯერ კიდევ 2016 წელს, რომელიც არ შედგა. საბოლოოდ, შენობა გასხვისდა 2021 წლის სექტემბერში, გადახურვის სამუშაოების შემდეგ.

მერიამ არასათანადოდ შეარჩია დასაფინანსებელი პროექტი. თანხები დაიხარჯა ისეთი ობიექტის რეაბილიტაციაზე, რომელიც არ იყო მუნიციპალური საკუთრება.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 1,682.9 ათასი ლარი³⁹ და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.2.3 მიწოდების ვადების დაუსაბუთებლად ზრდა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას.⁴⁰ სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გაგრძელდეს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო.

³⁵ NAT200018931; 2020 წლის 30 დეკემბრის №1232/454 ხელშეკრულება.

³⁶ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დასკვნის ღირებულება - 1.0 ათასი ლარი.

³⁷ სარეგისტრაციო კოდი: 53.15.36.062.

³⁸ CMR200092307, სამუშაოები შესყიდულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. პროექტი განსახორციელებლად აირჩია მოსახლეობამ, სოფლის კრებაზე.

³⁹ 1,682.9=1,632.0+40.9+10.0

⁴⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 5.

ამასთანავე, დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁴¹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მუნიციპალიტეტმა 11 ხელშეკრულების შემთხვევაში სამუშაოების შესრულების ვადა დაუსაბუთებლად შეცვალა ცუდი კლიმატური პირობებისა ან/და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების გამო.⁴² ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მიწოდების ვადების ზრდა სათანადოდ არ არის არგუმენტირებული, მაგალითად:

1) მუნიციპალიტეტმა 2021 წლის მარტში ხელშეკრულება გააფორმა ქვაფენილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.⁴³ სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 დღე. მიმწოდებლის მოთხოვნით, ნალექიანი დღეების მოტივით, მერიამ სამუშაოების დასრულების ვადა 50 დღით გაზარდა. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა ვერც დადგენილ ვადაში შეასრულა სამუშაოები.⁴⁴ ვადის გადაწევის საფუძველი იყო გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობა ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები შეიცავს მონაცემებს კონკრეტულ პერიოდში ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ და არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. შესაბამისად, ხელშეკრულების ცვლილება სათანადოდ დასაბუთებული არ არის. მუნიციპალიტეტს უამინდობის მოტივით არ უნდა გადაეწია მიწოდების ვადა და უნდა გაეგრძელებინა საჯარიმო სანქცია, რაც 8.9 ათას ლარს შეადგენს.⁴⁵

2) მუნიციპალიტეტმა 2021 წელს ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ კურდღელაურის №1 გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 195.2 ათასი ლარი.⁴⁶ სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 90 დღეში. მერიამ ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოტივით, მიწოდების ვადა 25 დღით გაზარდა. ხელშეკრულების ცვლილება არ იყო დასაბუთებული. კერძოდ, დაკორექტირებული ხარჯთაღრიცხვით უმნიშვნელოდ შეიცვალა სამშენებლო მასალის სახეობა,⁴⁷ რაც არ მოითხოვდა ხელშეკრულების ცვლილებით დამატებულ დროს. ამასთანავე, მიწოდების ვადები აღნიშნული ხელშეკრულებისათვის მერიამ გაზარდა უამინდობის მოტივითაც. შესაბამისად, მერიას არ უნდა შეეცვალა ხელშეკრულების პირობები და მიმწოდებელი უნდა დაეჯარიმებინა 4.9 ათასი ლარით.⁴⁸

⁴¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

⁴² NAT200015759, NAT210000429, NAT200018931, NAT210005732, NAT210000064, NAT210000066, NAT210013783, NAT210013804, NAT210013807, NAT210011402, NAT210012572.

⁴³ NAT210000064, მიმწოდებელი შპს „გზამშენი-2005“, ღირებულებით – 177.6 ათასი ლარი.

⁴⁴ დაერიცხა პირგასამტეხლო 2.7 ათასი ლარის ოდენობით.

⁴⁵ 177.6*0.1%*50=8.9 (ათასი ლარი).

⁴⁶ NAT210013807.

⁴⁷ გაიზარდა ცხაურის მოსაწყობი ლითონის კუთხოვანის ზომები.

⁴⁸ 195.2*0.1%X25=4.9 ათასი ლარი.

დასკვნა

ამდენად, უამინდობისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების მიზნებით ვადის გადაწევის მოთხოვნა ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მერიამ სამუშაოების დასრულების ვადები, ძირითადად, გაზარდა დაუსაბუთებლად.

რეკომენდაცია №4

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას, რითაც ორგანიზაციის პირობები გაუარესებულა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. კერძოდ, თუკი მიმწოდებლების ინტერესების გათვალისწინებით მერია არ შეცვლიდა ხელშეკრულებების პირობებს, 11 ხელშეკრულებისათვის მიმწოდებლებს დაეკისრებოდა მინიმუმ 55.2 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.⁴⁹

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების ვადების ცვლილებას ობიექტური გარემოებების საფუძველზე. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

2.2.4 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.⁵⁰ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.⁵¹

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 55 ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდა 237 ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 1,019.6 ათასი ლარი.⁵²

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ისეთ ხარვეზებს, რომლებიც პროექტის ავტორს მარტივად უნდა განესაზღვრა დოკუმენტაციის შედგენის ეტაპზე ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს აღმოეჩინათ მიღება-ჩაბარების დროს. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად. კერძოდ, მიმწოდებლებთან გაფორმებული 232 ხელშეკრულებიდან, 87 ხელშეკრულებაში შეტანილია 113 ცვლილება, აქედან, 22 შეცვლილია ორჯერ და მეტჯერ. პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული

⁴⁹ NAT200015759, ამხანაგობა „ელე“ – 6.3 ათასი ლარი; NAT210000429, შპს „როლდ გრუპი“ – 1.8 ათასი ლარი; NAT200018931, შპს „ფერთანათება“ – 0.8 ათასი ლარი; NAT210005732, შპს „ჯი თი პოლდინგი“ – 3.4 ათასი ლარი; NAT210000064, შპს „გზამშენი-2005“ – 8.9 ათასი ლარი; NAT210000066, შპს „გზამშენი-2005“ – 1.6 ათასი ლარი; NAT210013783, შპს „ენ-დი როლდი“ – 6.2 ათასი ლარი; NAT210013804, შპს „ენ-დი როლდი“ – 7.8 ათასი ლარი; NAT210013807, შპს „ენ-დი როლდი“ – 4.9 ათასი ლარი; NAT210011402, შპს „გზამშენი-2005“ – 7.5 ათასი ლარი; NAT210012572, შპს „მოდერნ კონსტრაქშენ“ – 6.0 ათასი ლარი.

⁵⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

⁵¹ NAT200005433, NAT200005426, NAT200013014, NAT210001933 და სხვ.

⁵² მათ შორის: 2019 წელს გაფორმებულია 26 ხელშეკრულება, თანხით – 546.8 ათასი ლარი; 2020 წელს – 11 ხელშეკრულება, თანხით – 341.0 ათასი ლარი; 2021 წელს – 18 ხელშეკრულება, თანხით – 131.8 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაცია შესყიდულია სულ 68,219.3 ათასი ლარის ღირებულების პროექტებისათვის.

ხარვეზების გამო იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული იწვევდა როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას,⁵³ ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას,⁵⁴ მაგალითად:

2020 წელს მუნიციპალიტეტმა ქ. თელავში, პარკ „ნადიკვარზე“ ფანჯატურების და ტერასების სარეაბილიტაციო-მოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „ბერმუხასთან“, ღირებულებით – 307.0 ათასი ლარი.⁵⁵ ობიექტის დასრულების ვადა განისაზღვრა 4 თვით. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა 10-ჯერ. კორექტირებების საფუძველია, ძირითადად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილება.⁵⁶ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პარალელურად იზრდებოდა მიწოდების ვადები. შედეგად, ხელშეკრულების მიწოდების ვადა გაზრდილია 195 დღით. აუდიტის მიმდინარეობისას სამუშაოები არ იყო დასრულებული.⁵⁷

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №5

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.3 მუნიციპალური სერვისების მიწოდება

2.3.1 მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁵⁸ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁵⁹ კანონმდებლობის მიხედვით, მომხმარებლისათვის წყლით მომარაგება განეკუთვნება ისეთ საქმიანობას,

⁵³ 2 ხელშეკრულების ღირებულება (NAT200006287; NAT200000068) გაზრდილია, ჯამში - 44.0 ათასი ლარით.

⁵⁴ მიწოდების ვადები გაზრდილია 79 ხელშეკრულებაში.

⁵⁵ NAT200008150.

⁵⁶ მაგალითად, ხარჯთაღრიცხვიდან ამოღებულია ხეივანზე 130 მ სიგრძის ლითონის მხატვრული მოაჯირის მოწყობის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამუშაო, ხოლო დამატებულია - არსებული ხიდის დემონტაჟი და ხევის ქვიშა-ხრებით ამოვსების სამუშაო.

⁵⁷ 2022 წლის სექტემბერი.

⁵⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁵⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას – ლიცენზიას.⁶⁰ წყლის გადასახადს ორგანიზაცია იღებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფების ფარგლებში.⁶¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 30 დასახლებული პუნქტიდან,⁶² ქ. თელავსა და სოფელ კურდღელაურის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, დანარჩენი 28 სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგება ფუნქციურად ევალება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“.⁶³

შპს „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ არ აქვს ამ საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია. ამ მიზნით მუნიციპალიტეტს არ მიუძღმარა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის. შპს-ს არ გააჩნია მიკრობიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევებისათვის საჭირო ლაბორატორია, საფილტრი მოწყობილობები და სხვა საჭირო ტექნიკა. სოფლის მოსახლეობა არაა გამრიცხველიანებული, შპს წყლის გადასახადს არ იღებს.

მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტები ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების დაფინანსებას.⁶⁴ შესაბამისად, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტად არის მიჩნეული. 2020-2021 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 6,828.7 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება,⁶⁵ ფაქტობრივად გაწეულია 4,178.0 ათასი ლარის ხარჯი (61%).⁶⁶ მიუხედავად ამისა, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კერძოდ, შპს-ს ევალებოდა 28 სოფლის წყალმომარაგება. აქედან, 11 სოფელში⁶⁷ მცხოვრებ 10 059 ოჯახს მიეწოდება ჭაბურღილებისა და წყაროების წყალი, ისიც – გრაფიკით. მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულში განიცდის წყლის დეფიციტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს სასმელი წყლის სრულ ლაბორატორიულ კვლევას. სათავე ნაგებობები/რეზერვუარები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის გაწმენდის საშუალებებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება

⁶⁰ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 87.

⁶¹ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, მუხლი 146, პუნქტი 1.

⁶² ქალაქი თელავი და 29 სოფელი.

⁶³ წესდების მიხედვით, საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება, გაწეული მომსახურების საფასურის ადმინისტრირება, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა და სხვ.

⁶⁴ მერიის მიერ 2019 წელს მიღებული დოკუმენტები: „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2020-2023 წლებისათვის“ და 2020 წელს მიღებული „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის“.

⁶⁵ მათ შორის, 2020 წელს - 3,726.5 ათასი ლარი, 2021 წელს - 3,102.3 ათასი ლარი.

⁶⁶ მათ შორის, 2020 წელს - 1,736.6 ათასი ლარი, 2021 წელს - 2,441.4 ათასი ლარი.

⁶⁷ სოფლები: აკურა, ვანთა, ქვედა ხოდაშენი, წინანდალი, კისისხევი, კონდოლი, შალაური, ართანა, ვარდისუბანი, გულგულა, ყარაჯანა.

შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; არ ხდება წყლის გადასახადის ადმინისტრირება, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები წყალმომარაგებისათვის არაპროდუქტიულად იხარჯება; მუნიციპალიტეტმა არსებული თავისუფალი ფულადი რესურსი არ მიმართა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

რეკომენდაცია №6

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.4 შესყიდვების მართვა

2.4.1 მიუღებელი საგარანტიო თანხები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით, თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200.0 ათას ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.⁶⁸

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია შემდეგი გარემოების არსებობა: მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ წარმოიშობა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი.⁶⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი, მიმწოდებლების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იყენებდა ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით⁷⁰ მუნიციპალიტეტმა, მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ, არ გამოიყენა ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები. კერძოდ, მერიამ სამუშაოების შეფერხების პირობებში არ მოითხოვა საბანკო გარანტიების მოქმედების ვადების გაზრდა. შედეგად, ხელშეკრულებების შეწყვეტისას გარანტიების მოქმედების ვადა გასული იყო. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ჯამში - 190.2 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა,⁷¹ მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა ქ. თელავში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები,

⁶⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 3¹.

⁶⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტი; მუხლი 4, პუნქტი 1.

⁷⁰ NAT200009917, NAT190006964.

⁷¹ NAT200009917, შპს „როუდ სოლუშენს“ - 175.2 ათასი ლარი; NAT190006964, შპს „გია კონსტრაქშენ“ - 15.0 ათასი ლარი.

ღირებულებით – 3,304.0 ათასი ლარი.⁷² სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 15 მარტამდე. მიმწოდებელს წარმოდგენილი ჰქონდა 175.2 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2021 წლის 25 ოქტომბრამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს ჩაბარებული აქვს მხოლოდ 915.8 ათასი ლარის სამუშაოები (შესასრულებელი სამუშაოების 27.7%)⁷³. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელი არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტმა დროულად არ შეწყვიტა ხელშეკრულება და არ მოითხოვა უზრუნველყოფის გარანტიის ანაზღაურება. კერძოდ, ხელშეკრულება შეწყდა მხოლოდ 2021 წლის დეკემბერში, როცა გარანტიის მოქმედების ვადა გასული იყო. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 175.2 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.⁷⁴

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობები მიმწოდებლებმა ვერ შეასრულეს მეორე შემთხვევაშიც.⁷⁵ მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა არ მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლების შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით.

დასკვნა

შეწყვეტილი ხელშეკრულებების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი არ მოქმედებდა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. პასუხისმგებელი პირების არასათანადო ქმედების გამო, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 190.2 ათასი ლარის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, არ გაატარა შესაფერისი ღონისძიებები ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მიმწოდებლების მიმართ.

2.5 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.5.1 ავტოპარკის მართვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული სამორიგო ავტომანქანების რაოდენობა განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.⁷⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტს მიერ მიღებულია ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე.⁷⁷

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა დაარღვია და არ დაიცვა მის მიერვე შემუშავებული წესი სატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობის შესახებ, კერძოდ:

⁷² NAT200009917.

⁷³ მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია 870.1 ათასი ლარი.

⁷⁴ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებელს დაეკისრა 915.2 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია, რომელიც არ გადაუხდია. დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

⁷⁵ NAT190006964, შპს „გია კონსტრაქშენი“, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა - 15.0 ათასი ლარი.

⁷⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 5.

⁷⁷ საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №32 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. ნაცვლად 8 ავტომანქანისა, 2020 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 10 სამორიგეო და კერძო საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ავტომანქანით, ხოლო 2021 წელს – ბალანსზე რიცხული 11 სამორიგეო და კერძო საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ავტომანქანით.

ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვაზე. კერძოდ, 100-ზე მეტ შემთხვევაში ავტომობილებში 5.0 ათასი ლიტრი საწვავი ჩასხმულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარეთ მდებარე ავტოგასამართ სადგურებში, რაც სავარაუდოდ არ უკავშირდება მოხელეების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (იხ. დანართი №3).

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება საკრებულოს დადგენილებით ოდენობას; მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რამაც საბიუჯეტო ხარჯის გაზრდა გამოიწვია.

რეკომენდაცია №7

მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის საკრებულოს დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. მიზანშეწონილია მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.5.2 საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,⁷⁸ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა, საკრებულოს კომისიების და დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁷⁹

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁸⁰ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია

⁷⁸ მუხლი 41.

⁷⁹ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 დეკემბრის №10 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

⁸⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2020-2021 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 138.7 ათასი ლარი.⁸¹ საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ყოველთვიურად, არაუმეტეს – 450 ლარი.⁸²

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებოდათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დასადასტურებლად. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 138.7 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.6 მუნიციპალური ქონების განკარგვა

2.6.1 ქონების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: თვითმმართველი ერთეული ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულია, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოს ქონების მონიტორინგი და დაიცვას მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.⁸³

მუნიციპალიტეტს აქვს უფლება ქონება გასცეს პირდაპირი განკარგვის გზით. აღნიშნულის მიზანია მუნიციპალიტეტის ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი წესით განკარგვისას დადგენილ პირობებს.⁸⁴

ფაქტობრივი გარემოებები: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 1000-ზე მეტი დასახელების⁸⁵ სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა.

⁸¹ 2020 წელს – 64.3 ათასი ლარი; 2021 წელს – 74.4 ათასი ლარი.

⁸² თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 დეკემბრის №10 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

⁸³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109.

⁸⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26.

⁸⁵ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია.

შედეგად, მუნიციპალური ქონება გამოყენებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად არ არის მიღებული საიჯარო შემოსავლები; საიჯარო ქირის განსაზღვრისა და ადმინისტრირების ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, კერძოდ:

- J მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 27 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. მაგალითად, სოფელ გულგულაში 37 144 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა⁸⁶ დამუშავებულია ისე, რომ მოსარგებლესთან რაიმე ტიპის ხელშეკრულება ქონების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ არ გაფორმებულა. უნებართვოდ დაკავებული მიწების საერთო ფართობი ჯამში – 654 322 კვ.მ-ია, რომელთა სარგებლობის საფასურიც ბიუჯეტში ჩარიცხული არ არის (იხ. დანართი №4).

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის წინა აუდიტის პერიოდშიც გამოვლინდა ანალოგიური დარღვევა. კერძოდ, 7 შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ჯამში – 224 844 კვ.მ-ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას იყენებდნენ არაუფლებამოსილი პირები. მიუხედავად ამისა, მერიამ არც 2020-2021 წლებში გაითვალისწინა აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის პერიოდში გამოვლენილი გარემოება. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში შექმნილია, ქონების მართვის განყოფილება, სადაც დასაქმებულია 6 საჯარო მოსამსახურე და მათი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ აღნიშნული საკითხების მართვაა.⁸⁷

- J მუნიციპალიტეტმა პირდაპირი განკარგვის წესით გასცა ქალაქ თელავის ცენტრში არსებული 250 კვ.მ შენობა.⁸⁸ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება, თუ რა აუცილებელი პირობით იყო გამოწვეული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემა;
- J 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 2011 წელს გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება,⁸⁹ რომელიც ითვალისწინებდა საიჯარო ფასის პერიოდულ გადასინჯვას. მუნიციპალიტეტს 2012 წლის შემდეგ არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.⁹⁰ აღსანიშნავია, რომ 2012-2022 წლებში აღნიშნული მიწის ნორმატიული ღირებულება გაიზარდა 2 შემთხვევაში: 2014 წელს – 8.9 ლარიდან 13.36 ლარამდე,⁹¹ ხოლო 2022 წლის 28 თებერვალს – 26.7 ლარამდე.⁹² აღნიშნულის მიუხედავად, საიჯარო გადასახადი

⁸⁶ საკადასტრო კოდი: 53.09.34.102.

⁸⁷ საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულება“, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁸⁸ საკადასტრო კოდი: 53.20.41.333-ზე, არსებული 32 კვ.მ მიწა და 250 კვ.მ შენობა 2017 წელს შპს „ბიბლუსზე“ გაცემულია წლიური 24.0 ათასი გადასახადით.

⁸⁹ შპს „ბუნებრივ აირთან“ 2011 წლის 11 იანვარს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება №1: 49-წლიანი იჯარით გაცემულია 55 804 კვ.მ მიწა, საკადასტრო კოდი: 53.20.39.054. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა საიჯარო გადასახადი გადასინჯა მხოლოდ ერთხელ 2012 წელს.

⁹⁰ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში (2022 წლის ოქტომბერი), საიჯარო გადასახადის თანხა არ იყო გადასინჯული.

⁹¹ საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილება.

⁹² საკრებულოს 2022 წლის 28 თებერვლის №5 დადგენილება.

მუნიციპალიტეტს არ შეუცვლია, რითაც დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები, კერძოდ: კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი სხვადასხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები; მუნიციპალიტეტი კარგავს იჯარის სახით დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №8

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

2.7 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები

2.7.1 დაფუძნებული სუბიექტების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.⁹³

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებდა 19 არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან იურიდიული პირების დაფინანსებაზე გაცემულია 17,641.8 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის გადასახდელების 26%-ს შეადგენს. იურიდიული პირების მიერ შრომის ანაზღაურების სახით სულ გაწეულია 11,729.4 ათასი ლარის ხარჯი, რაც მიღებული დაფინანსების 66.5%-ია.⁹⁴

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაფუძნებული სუბიექტების ფუნქციური დატვირთვის, ფულადი სახსრების ეკონომიურად გამოყენებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით, კერძოდ:

1) დაფუძნებული ა(ა)იპ-ების საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაქმებულებს არ აქვთ სათანადო ფუნქციური დატვირთვა, მაგალითად:

- 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 183-დან 190-მდე. მათ შორის, 2020 წელს დასაქმებული იყო

⁹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁹⁴ 2020-2021 წლებში ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 1300-1328 თანამშრომელი.

20,⁹⁵ ხოლო 2021 წელს – 17 სპეციალისტი, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე სულ დაიხარჯა 177.2 ათასი ლარი. პასუხისმგებელმა პირებმა ვერ დაასაბუთეს, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული, აეყვანათ ამ რაოდენობის სპეციალისტები.

- 11 სოფელში, იმავე ა(ა)იპ-ის კულტურის სახლებში დასაქმებული იყო 29 თანამშრომელი, რომელთა მოვალეობებს წარმოადგენდა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. პასუხისმგებელმა პირებმა ვერ წარმოადგინეს დოკუმენტური მტკიცებულება განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
- სხვადასხვა სოფელში სკვერის დამლაგებლად დასაქმებული ამავე ა(ა)იპ-ის 15 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 18.9 ათასი ლარი. აღნიშნული საქმიანობა არ შეესაბამება ა(ა)იპ-ის წესდებს.
- 2020-2021 წლებში ა(ა)იპ – თელავის სპორტულ კლუბთან გაერთიანება „თელავში“ დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 75-დან 80-მდე, მათ შორის, 5 პირის საჭიროება, რომელთა შრომის ანაზღაურებაზეც დახარჯულია 61.5 ათასი ლარი, სათანადოდ არა არის დასაბუთებული.⁹⁶

მუნიციპალიტეტში არსებობს საერთო მიზნების და ამოცანების მქონე ერთი და იმავე პროფილის რამდენიმე ა(ა)იპ, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობს ერთნაირ მომსახურებას. კერძოდ, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში არსებობდა სპორტული მიმართულების – 4, კულტურის მიმართულების – 2 და სამუსიკო სფეროს – 5 სხვადასხვა ა(ა)იპ-ი. მერიამ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რატომ არის უფრო ეფექტიანი და მეტი შედეგის მომტანი სუბიექტების დამოუკიდებელი ფუნქციონირება და შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯების გაწევა.

2020-2021 წლებში აღნიშნულ ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე სულ დაიხარჯა 620.5 ათასი ლარი. მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეუცვლელად, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, სუბიექტების საქმიანობა ორგანიზაციულად შესაძლებელი იყო დარგების მიხედვით ერთი ადმინისტრაციის პირობებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით, კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება; რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით არის განპირობებული მსგავსი პროფილის ა(ა)იპ-ების დამოუკიდებლად არსებობა.

⁹⁵ 1 მთავარი სპეციალისტი, 7 სპეციალისტი (მოვალეობა: ნაგებობის, ინვენტარის და სხვა უძრავ-მომრავი ქონების მოვლა-პატრონობა, მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება; ჩასატარებელი ინვენტარიზაციისათვის ხელშეწყობა); 2 სპეციალისტი (მოვალეობა: ღონისძიებებისა და გამოფენების წლიური გეგმის შედგენა, ორგანიზება); 1 სპეციალისტი (მოვალეობა: სოციალური მედიის მართვა); 1 სპეციალისტი (მოვალეობა: ბუღალტრის დამხმარე აღრიცხვა-ანგარიშსწორების წარმოებაში); 5 სპეციალისტი (მოვალეობა: ცალკეულ სოფელში ღონისძიებების ორგანიზება); 1 საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, 1 სამეურნეო ნაწილის სპეციალისტი, 1 სპეციალისტი (მოვალეობა: ცენტრში შრომით საკითხებზე გამოცემული ბრძანებების, განკარგულებების და სხვა აქტების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისობაზე კონტროლის განხორციელება).

⁹⁶ ოფისის მენეჯერი, კომენდანტის თანაშემწე, ახალგაზრდობის მიმართულების სპეციალისტი, ლოჯისტიკის სპეციალისტი, სპორტული საკითხების სპეციალისტი. ა(ა)იპ-ს ჰყავს ამავე ფუნქციის რამდენიმე დასაქმებული.

რეკომენდაცია №9

მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე, შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქციონირების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.8 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.8.1 ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁹⁷ 2020-2021 წლებში კახეთის რეგიონში ფუნქციონირებს რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.⁹⁸ სუბიექტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს კახეთის რეგიონის იმიჯის ხელშეწყობას, ტურიზმის პოპულარიზებას, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავებას და სხვ.

მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში. მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁹⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 130.0 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.¹⁰⁰

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებდა თავისთავად დაფუძნებული ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგს და არ ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. იურიდიული პირის მიერ მერიაში წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. მათში ასახულია ფინანსური ინფორმაცია ორგანიზაციის გასული წლის საქმიანობების შესახებ, თუმცა შეფასებული არ არის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის/დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები. მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას, რა კონკრეტული შედეგები მიიღო ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად. ამდენად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 130.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის

⁹⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 2.

⁹⁸ 2016-2018 წლებში ფუნქციონირებდა ა(ა)იპ – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, ხოლო 2019 წელს, მისი რეორგანიზაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.

⁹⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

¹⁰⁰ 2020 წელი - 80.0 ათასი ლარი, 2021 - 50.0 ათასი ლარი.

განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას; მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

2.8.2 საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.¹⁰¹

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1% მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.¹⁰² ამასთანავე, მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ მოხელეებს ევალებათ.

მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.¹⁰³ სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.¹⁰⁴

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმში გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მუნიციპალიტეტმა, მემორანდუმის ფარგლებში, 2020-2021 წლებში ასოციაციას გადაუხადა 40.0 ათასი ლარი.¹⁰⁵

აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია ასოციაციის მიერ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისთვის გაწეული მომსახურების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, მემორანდუმის ფარგლებში:

- 1) მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს ასოციაციის მიერ ბიუჯეტირების მიმართულებით ორგანიზებულ სწავლებებში;¹⁰⁶
- 2) მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგების, მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებში და სხვ.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში, დაგეგმოს მოხელეების გადამზადება. ამასთანავე, მოხელეებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების საჭიროებისას, მომსახურება შეისყიდოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

¹⁰¹ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, მუხლი 14, ქვეპუნქტი 2.

¹⁰² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

¹⁰³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ჟ“ და „ს1“ ქვეპუნქტები.

¹⁰⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

¹⁰⁵ 2020 წელს - 20.0 ათასი ლარი. 2021 წელს - 20.0 ათასი ლარი.

¹⁰⁶ სწავლებები ტარდებოდა ბიუჯეტირების მიმართულებით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად და მასში ჩართული იყვნენ მერიისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციაში, რისთვისაც იხდის საწევრო გადასახადს.¹⁰⁷ ასოციაციის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტების განვითარების კოორდინაცია და პრობლემათა იდენტიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოხელეთა სწავლების ორგანიზება, არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება და დანერგვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო მასალების მომზადება და გავრცელება, ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და სხვ.¹⁰⁸ ფუნქციათა მრავალფეროვნებისა და საწევრო შენატანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გამოიყენა თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გაეწიათ ხარჯი მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო მომსახურებაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 40.0 ათასი ლარი ნაწილობრივ არარაციონალური ხარჯია.

რეკომენდაცია №10

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

2.8.3 დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.¹⁰⁹ მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.¹¹⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა დასუფთავების მოსაკრებლის სახით დაგეგმა 422.1 ათასი ლარის შემოსავლის მიღება. ფაქტობრივმა შესრულებამ კი 367.6 ათასი ლარი შეადგინა (87%).¹¹¹

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის მიერ იურიდიული სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება.¹¹² სამსახური იურიდიული პირებიდან დასუფთავების გადასახადს ითხოვს წერილობითი შეტყობინებით. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იურიდიული პირებისა მიერ გადაუხდელობა მოსაკრებელმა

¹⁰⁷ 2020-2021 წლებში გადახდილია 9.0 ათასი ლარი.

¹⁰⁸ ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წესდება, მუხლი 2.

¹⁰⁹ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

¹¹⁰ საკრებულოს 2018 წლის 8 თებერვლის დადგენილება №14.

¹¹¹ 2020 წელს იურიდიულ პირებზე გაწერილია - 205.7 ათასი ლარი, გადახდილია - 163.2 ათასი ლარი (79%); 2021 წელს გაწერილია - 216.4 ათასი ლარი, გადახდილია - 204.4 ათასი ლარი (94%); მოსახლეობაზე დასუფთავების გადასახადს არ იხდის.

¹¹² საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულება“, მუხლი 7, ქვეპუნქტი 5.

108.0 ათასი ლარი შეადგინა.¹¹³ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის გატარებული სამართლებრივი ღონისძიებები დავალიანების მქონე პირების მიმართ.¹¹⁴

აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტს არ აქვს გადამხდელთა ერთიანი სრულყოფილი ბაზა და მოსახლეობაზე მოსაკრებელი არ გაიწერება. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს შემოსავლებს და ბიუჯეტში მისაღები მოსაკრებლის დაგეგმვა პირობითია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრულყოფილი ბაზა და ვერ უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №11

მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

2.8.4. მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.¹¹⁵

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა; ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა და სხვ.¹¹⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა დასუფთავების, გარე განათების, წყლის ქსელის მოვლა-პატრონობისა და სხვა კომუნალური მომსახურებები შეისყიდა ტენდერის საშუალებით. ამ მიზნით 2020-2021 წლებში გაფორმებულია სულ 14 ხელშეკრულება, ღირებულებით – 3,940.3 ათასი ლარი.¹¹⁷

შესყიდვის პროცედურების შესწავლით გამოვლინდა, რომ ტერდერები ატარებდა ფორმალურ ხასიათს და სისტემატურად იმარჯვებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი – შპს „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. დებულების¹¹⁸ მიხედვით,

¹¹³ მათ შორის, 2020 წლის 1 იანვრისთვის გადაუხდელი მოსაკრებელი შეადგენდა 53.5 ათას ლარს.

¹¹⁴ მუნიციპალიტეტმა მხოლოდ 9 შემთხვევაში მიმართა სასამართლოს. ამოღებულია 5.0 ათასი ლარი.

¹¹⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 106¹, პუნქტი 1.

¹¹⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 2, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები.

¹¹⁷ NAT190025646 - 739.0 ათასი ლარი; NAT190026044 - 300.0 ათასი ლარი; NAT190025599 - 220.0 ათასი ლარი; NAT190025555 - 70.0 ათასი ლარი; NAT200019119 - 830.0 ათასი ლარი; NAT200020516 - 300.0 ათასი ლარი; NAT200000402 - 99.0 ათასი ლარი; NAT200000616 - 18.5 ათასი ლარი; NAT210023413 - 1000.0 ათასი ლარი; NAT210000714 - 220.0 ათასი ლარი; NAT210001042 - 98.8 ათასი ლარი; NAT210007684 - 5.0 ათასი ლარი; NAT200000289 - 20.0 ათასი ლარი; NAT200020591 - 20.0 ათასი ლარი.

¹¹⁸ თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 ოქტომბრის №1503 ბრძანებით დამტკიცებული შპს „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის წესდება“, მუხლი 2.

აღნიშნული სუბიექტი მუნიციპალიტეტმა დააფუძნა სწორედ ტენდერით შესყიდული მომსახურებების მიწოდების მიზნით.

საჭიროა მუნიციპალიტეტმა სამართლებრივად დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი. კერძოდ, მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება დაფუძნებული სუბიექტების ორგანიზაციული ფორმისა და იმ მომსახურების/სამუშაოს განხორციელების საშუალებების შესახებ, რომელიც სუბიექტებისათვის პროფილურ საქმიანობას წარმოადგენს.

2.8.5 უარყოფითი შედეგებით დასრულებული სასამართლო დავები

დასკვნა

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა აწარმოა და წააგო სასამართლო დავები ყოფილ საჯარო მოსამსახურებებთან.¹¹⁹ კერძოდ, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირის ბრძანებებით¹²⁰ თანამდებობიდან გათავისუფლებულმა საჯარო მოხელეებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და მოითხოვეს სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. დავები გაგრძელდა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, რაც გათავისუფლებული პირების გამარჯვებით დასრულდა. სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს კომპენსაციისა და განაცდურის სახით ჯამში დაეკისრა 245.8 ათასი ლარის ანაზღაურება, საიდანაც 2020-2021 წლებში გადახდილია 144.4 ათასი ლარი.¹²¹

სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირმა საჯარო მოსამსახურეები სათანადო დასაბუთების გარეშე გაათავისუფლა თანამდებობიდან. მმართველობით პროცესში მიღებული შეუსაბამო გადაწყვეტილებების შედეგად მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში გასწია 144.4 ათასი ლარის დამატებითი საბიუჯეტო ხარჯი.

2.9 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ უზრუნველყო სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია წინამდებარე აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

-)/ მუნიციპალიტეტმა დააგროვა დიდი ოდენობის ფინანსური ნაშთები, მათ შორის, თავისუფალი ნაშთები;
-)/ გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
-)/ ზოგიერთი ინფრასტრუქტურული ობიექტი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს;
-)/ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები;
-)/ მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

¹¹⁹ თელავის მუნიციპალიტეტის 6 თანამშრომელი - დავები დაწყებულია 2018 წელს.

¹²⁰ 2018 წლის 30 იანვრის №44, №54, №55, №57, №66 და №75 ბრძანებები.

¹²¹ დარჩენილი თანხიდან 2022 წლის 9 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 30.4 ათასი ლარი, ხოლო 71.0 ათასი ლარი გადაირიცხება მოდავის მიერ საბანკო ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

გიორგი ჩახვაძე

წამყვანი აუდიტორი

ირაკლი გოგოლიძე

აუდიტორი

ნინო ლაღიძე

აუდიტორი

თამარ კუხიანიძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა






დანართები

დანართი №1

2020-2021 წლებში მოწყობილი და დაზიანებული ობიექტები

შესყიდვ. №	ობიექტი	ღირებულება (ათასი ლარი)	ხარვეზი
NAT2000 18931	სოფ. კურდღელაურის ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები	8.2	შენობის კედლები დაზიანებულია, ჩამოყრილია საღებავი
CMR2001 05650	სოფ. შალაურში, საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	24.2	დაზიანებულია ლამინატი, კედლებს აღენიშნება მცირე ბზარები, ერთ ადგილზე ჩავარდნილია მეტლახი.
CMR1901 41729	სოფ. შალაურში, სკვერის და საპირფარეშოს მოწყობა	24.0	დაზიანებულია საპირფარეშოს შესასვლელი კარები და არ იღება. მოსახლეობა ვერ სარგებლობს.
CMR1901 17481	სოფ. ნაფარულში, სასაფლაოს შემოღობვის და სველი წერტილების მოწყობა	16.7	სველი წერტილის შესასვლელი კარი დაზიანებულია, გატეხილია.
CMR2101 02424	სოფ. ნაფარულში, სოპრტდარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები	29.0	დაზიანებულია კედლები, ჭერი და იატაკი.
NAT1900 23034	სოფ. კისისხევის საჯარო სკოლის სპორტ. დარბაზის მოწყობა	36.0	დაზიანებულია კედლები, აღენიშნება მცირე ბზარები.
CMR2101 02394	თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნასამხრალში, სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა	22.5	კაუჩუკის უმეტესი ნაწილი არ არის დამაგრებული ზედაპირზე. დაზიანებულია ჭიშკარი და ატრაქციონები. ვიზუალურად არადაზიანებულია მდგომარეობაშია.
CMR2101 02401	სოფ. თეთრწყლებში არსებული სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	20.3	კაუჩუკი არ არის დამაგრებული ზედაპირზე.
CMR2000 91840	სოფ. კონდოლში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	27.9	დაზიანებულია ბეტონის ზედაპირი, ურნები, სკამები, განათების ბოძები და ღობე.
NAT2000 07772	№2 საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა	59.7	მეორე სართულზე მოწყობილი ტუალეტიდან პირველ სართულზე ჩადის წყალი, დაზიანებული ჩამრეცხი ავზები, ონკანი, ტრაპიდან ამოდის წყალი

NAT1900 15854	ქ.თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე №5, №7 და №9 კორპუსების ფასადის რეაბილიტაცია	885.2	აივნებზე სადებავი ნაწილობრივ აცლილია.
CMR2001 02441	თელავის მუნიციპალიტეტის №7 საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაცია	58.4	დაზიანებულია ონკანი, უნიტაჟები, ორი კარი არ იღება.
CMR2001 02441	თელავის მუნიციპალიტეტის №3 საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაცია	43.6	დაზიანებულია ტუალეტის ჩამრეცხი ავზები, განათების ნათურები, ონკანები, არ მუშაობს წყლის გამათბობელი, არ მუშაობს ტრაპი, არ არის გატანილი სამშენებლო ნარჩენები.
CMR2001 02441	თელავის მუნიციპალიტეტის №4 საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაცია	65.3	ნესტისგან დაზიანებულია კედლები, ონკანი; ჩამოვარდნილია ორი კარი.
CMR2001 02441	თელავის მუნიციპალიტეტის №5 საჯარო სკოლის გადახურვისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია	68.9	სახურავიდან ერთ ოთახში ჩამოსულია წყალი და დაზიანებულია კედელი, დაზიანებულია ჟოლობი, ჩამოსული წყლით დაზიანებულია შენობის გარე კედლები.
CMR2001 02441	თელავის მუნიციპალიტეტის №6 საჯარო სკოლის სველი წერტილებისათვის ორ სართულიანი შენობის მიშენების სამუშაოები	124.7	მეორე სართულზე სახურავიდან ჩამოდის წყალი, დაზიანებულია კედლები, იატაკი. ერთ ოთახში ლამინატი დაზიანებული და აღებულია.
NAT1900 22102	თელავის მერიის შენობის ვესტიბიულისა და ფასადის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები	61.7	სახურავიდან ჩამონადენი წყალით დაზიანებულია ქონგურები და სვეტები.
სულ:		1,576.3	

დანართი №2

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული ობიექტები (ათასი ლარი)

შესყიდვ ის №	ობიექტი	ხელშეკრ ულების დირექტორ ლება	შესრულ ებული სამუშაო ს ღირებ.	სამუშაოების მდგომარეობა
-----------------	---------	---------------------------------------	--	-------------------------

NAT190 006964	სოფ. ფშაველში, კემპინგის მოწყობა	300.0	160.3	შენობა დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს.
CMR210 102414	სოფ. ლაფანყურში, ტრენაჟორების შემენა-მონტაჟი	23.2	23.2	სამუშაოები დასრულებულია. ტრენაჟორების ოთახის ფუნქციონირებისათვის საჭიროა დამატებითი სამუშაოები. ობიექტი არ ფუნქციონირებს.
NAT210 000429	სოფ. ბუშეტში, შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	103.3	78.1	შეწყდა ხელშეკრულება, სამუშაოები დაუსრულებელია.
NAT210 013804	სოფ. ვანთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	125.5	69.2	შეწყდა ხელშეკრულება, სამუშაოები დაუსრულებელია.
NAT210 020301	სოფლების: ბუშეტის და ვანთის ადმინისტრაციულ ი შენობების რეაბილიტაცია	148.6	76.9	შეწყდა ხელშეკრულება, სამუშაოები დაუსრულებელია.
NAT200 009917	ქ. თელავში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები	3,304.0	870.1	შეწყდა ხელშეკრულება, სამუშაოები დაუსრულებელია.
NAT210 015034	ქ. თელავში, №7 და №8 საბავშვო ბაღების გათბობის სისტემების საქვებების შენობის გარეთ გატანის სამუშაოები	114.5	29.9	სამუშაოები დაუსრულებელია.
NAT190 015897	ქ. თელავში მდებარე ჭადრაკის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	296.3	98.2	ობიექტი დაუსრულებელია. შენობა დაუცველია.
NAT190 011599	ქ. თელავში მდებარე „ნადიკვრის“ პარკის ამფითეატრის გადახურვის სამუშაოები	226.8	226.1	სამუშაოები დასრულებულია. ამფითეატრის ფუნქციონირებისათვის საჭიროა დამატებითი სამუშაოები. ობიექტი არ ფუნქციონირებს.
სულ:		4,642.2	1,632.0	

დანართი №3

2020-2021 წლებში ავტომაქანებში თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები:

N	ავტომაქანის ნომერი	საწვავის ჩასხმის ჯერადობა	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
1	AC080CA	2	145
2	AV011VA	43	2280
3	BB011SB	13	736
4	BS852BS	2	74
5	GL188LG	1	78
6	KK010XX	8	403
7	RR881SS	4	258
8	WW230VV	28	896
9	ZZ506ZI	2	75
სულ		103	4945

დანართი №4

არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებული მიწები

საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულ ება	ფართი (კვ.მ)	ობიექტის აღწერა
53.09.34.102	სოფ. გულგულა	სასოფლო- სამეურნეო	37144	მარცვლეული კულტურა
53.04.44.071	სოფ. კისისხევი	სასოფლო- სამეურნეო	8965	მარცვლეული კულტურა
53.08.39.496	სოფ. ვარდისუბანი	სასოფლო- სამეურნეო	3843	მარცვლეული კულტურა
53.02.31.543	სოფ. ქვემო ხოდაშენი	სასოფლო- სამეურნეო	24597	მარცვლეული კულტურა
53.12.32.162	სოფ. იყალთო	სასოფლო- სამეურნეო	3322	მარცვლეული კულტურა
53.11.33.346	სოფ. რუისპირი	სასოფლო- სამეურნეო	18762	მარცვლეული კულტურა
53.09.34.200	სოფ. გულგულა	სასოფლო- სამეურნეო	67321	მარცვლეული კულტურა
53.09.41.021	სოფ. გულგულა	სასოფლო- სამეურნეო	22667	მარცვლეული კულტურა
53.15.35.127	სოფ. ართანა	სასოფლო- სამეურნეო	26529	მარცვლეული კულტურა
53.05.39.185	სოფ. კონდოლი	სასოფლო- სამეურნეო	3256	მარცვლეული კულტურა
53.05.39.184	სოფ. კონდოლი	სასოფლო- სამეურნეო	1986	მარცვლეული კულტურა
53.09.40.146	სოფ. გულგულა	სასოფლო- სამეურნეო	42213	მარცვლეული კულტურა
53.11.31.061	სოფ. რუისპირი	სასოფლო- სამეურნეო	111356	მარცვლეული კულტურა
53.01.43.000. 140	სოფ. აკურა	სასოფლო- სამეურნეო	8530	მარცვლეული კულტურა

53.16.39.121	სოფ. ფშაველი	სასოფლო-სამეურნეო	27056	მარცვლეული კულტურა
53.08.35.098	სოფ. ვარდისუბანი	სასოფლო-სამეურნეო	20283	მარცვლეული კულტურა
53.12.32.161	სოფ. იყალთო	სასოფლო-სამეურნეო	24530	მრავალწლიანი ნარგავები
53.04.44.161	სოფ. კისისხევი	სასოფლო-სამეურნეო	4078	მარცვლეული კულტურა
53.09.34.108	სოფ. გულგულა	სასოფლო-სამეურნეო	20771	მრავალწლიანი ნარგავები
53.15.35.076	სოფ. ართანა	სასოფლო-სამეურნეო	15001	მარცვლეული კულტურა
53.14.35.046	სოფ. ნაფარეული	სასოფლო-სამეურნეო	11684	მარცვლეული კულტურა
53.09.40.151	სოფ. გულგულა	სასოფლო-სამეურნეო	69827	მარცვლეული კულტურა
53.09.34.111	სოფ. გულგულა	სასოფლო-სამეურნეო	14566	მარცვლეული კულტურა
53.08.42.158	სოფ.	სასოფლო-სამეურნეო	549	გამოყენებულია გზად
53.08.42.161	ვარდისუბანი	სასოფლო-სამეურნეო	1129	
53.09.32.028	სოფ. გულგულა	სასოფლო-სამეურნეო	30054	მარცვლეული კულტურა
53.05.33.077	სოფ. კონდოლი	სასოფლო-სამეურნეო	34303	მრავალწლიანი ნარგავები
სულ:			654 322	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38